ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 183

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 30-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, 38–ე მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N1 დადგენილების დანართის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის, 35–ე მუხლის მე-9 და მე–14 პუნქტების, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 106-ე მუხლისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნების საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნები ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებში“ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნები განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგა ნანა კოსტავა 2019 წლის 31 მაისს;

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი 2019 წლის 31 მაისს;

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან ნიკოლოზ ჩეჩელაშვილი გათავისუფლებულია 2019 წლის 31 მაისიდან;

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ შემადგენლობაში პირადი განცხადების საფუძველზე, 2019 წლის 19 ივნისიდან გაერთიანდა საკრებულოს წევრი, რამაზ ჩხიკვაძე;

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ შემადგენლობიდან პირადი განცხადების საფუძველზე, 2019 წლის 19 ივნისიდან გავიდა ფრაქციის წევრი, ნანა კოსტავა.

მუხლი 3. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ დაფუძნების ცნობად მიღების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 დეკემბრის N37 განკარგულებაში, კერძოდ:

1. განკარგულების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ შედგება საკრებულოს შემდეგი წევრებისაგან:

ა) ჩეჩელაშვილი ნიკოლოზ

ბ) ლატარია ნიკოლოზ

გ) ჩხიკვაძე რამაზ“

2. განკარგულების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარედ 2019 წლის 31 მაისიდან არჩეულია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ჩეჩელაშვილი ნიკოლოზი, რომლის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.“

3. ამოღებულ იქნეს განკარგულების პირველი მუხლიდან მე-5 პუნქტი, რომელიც შეეხება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილედ ნიკოლოზ ჩეჩელაშვილის არჩევის ცნობად მიღების საკითხს.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია